



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/26

ქ. თბილისი

17 ივნისი 2022


**ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2022 წლის 16 ივნისის №0000651684 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 17 ივნისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები, კერძოდ, გაუქმდეს საინფორმაციო-ტექნიკურ ჯგუფში მთარგმნელის 1,0 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით 300 ლარი და თანხა გადანაწილდეს:

- მათემატიკური კიბერნეტიკის განყოფილებაში - უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის 1,0 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით 600 ლარი გადაკეთდეს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობად, სახელფასო განაკვეთით 700 ლარი;
  - ბიოკიბერნეტიკული სისტემების განყოფილებაში - მეცნიერ-თანამშრომლის 1,0 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით 500 ლარი გადაკეთდეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობად, სახელფასო განაკვეთით 600 ლარი;
  - მატერიალური რესურსების და მეტროლოგიის განყოფილებაში - მძღოლის 1,0 საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 600 ლარით, ნაცვლად 500 ლარისა.
2. ინსტიტუტში განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შემდგომ;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გახოვიძე